



— ბარე, წამსვლელ-დამრჩენის სადღებრძელოც დაგალია ამ  
ყანდით?!  
— აჰ, არა, ძეაო! დღეს კრებაზე გამომდევარ სიტყვით და, მე-  
შინია, სიგარტელა არ წამოვცდეს!..

# სიკვდილი

6 83

ნ. გ. გოტჩიკიძე

၅၅၆၇၆၅၆၅

„კოლეგიალობის ყოველგვარი გა-  
ბერვა, მისი ყოველგვარი დამახინჯე-  
ბა, რაც იწვევს საქმის გაჭიანურებას,  
უპასუხისმგებლობას, კოლეგიალურ  
დაწესებულებათა ყოველგვარი გადა-  
ქცევა სალახოდ უდიდესი ბორო-  
ტებაა, და ამ ბოროტებას საჭიროა  
ბოლო მოუქლოთ რაღაც უნდა დაჟ-  
დეს, რაც შეიქლება ჩქარა, და არ და-  
ვერიდოთ აკეთებს...“

„განეწყეთ საქმისათვის, და არა მალღალადოვანი სიტყვებისათვის — აი, რა გემართებს დღეს საიმი- სოდ, რომ კიდევ უფრო განვამტკი- ცთო საბჭოთა სოციალისტური რეს- პუბლიკების ღია და მიღწავრი კავ- შირი“.

0. 3. ანდროპოვი: — სწორია. ეს საჭიროა არა მარტო თქვენი ქარხნისათვის, არამედ ყველგან.

„რაც შეიძლება ნაკლები თათბირები, კრებები სამუშაო დროს. ნაკლები ლაპარაკი საქმის გაუმჯობესებაზე — რაც შეიძლება მეტი თვითმუშაობა, კონკრეტული, ხელშესახები საქმეები. საკითხი მხოლოდ ასე შეიძლება დაისვას“.

„იყო მეტისმეტი გატაცება სხდომებით, და, მართალი რომ ვთქვათ. ეს ნაკლი ჯერაც ვერ დაგვიძლევია ბოლომდე“.

„**ԵՂԵՐ, ՆԵՐ ԺԵՂԵՐ**“

გ ა ზ ე თ ე ბ ი ღ ა ნ

ॐ नमो भगवते वासुदेवाय ॐ नमो भगवते वासुदेवाय

┌Դժին-ըրև Էլերից-մոռնիմըն-սփրի Կամաշլըն-Բապընըն-Շաքմաթմար-Մոնզան-Շահրլո-Դժին-ըրև┐

"Նոանցը" ջր. միակշիւթն ըստըրն 90 Երկնաշաւ ըստըրն ըրնաշիւթն ըրնա  
ըրնաշիւթն "Նոանցը" ըրնաշիւթն ըրնաշիւթն ըրնաշիւթն ըրնաշիւթն ըրնաշիւթն

[illegible]

მეორეში გამოყენდება ახალი ჟურნალური ტილო "თანამედროვე მეცნიერები".

Ոսկրքն Թաթարներն Մոսկովիտական Սպարդնշուրս, Կերնն Մոսկովիտական —  
Նշանակողներն.

ദൈവമേ ദയയ്ക്കട്ടെ!

[illegible]

თქმული წინარე სხდომის ორგანიზატორისაგან  
რუსთაველის ხმაზად

აპა, მმონმობენ ვარსკვლავნი, შვიდნივე მემონმებანი:  
შოთა, ილია, ირაკლი და მუხრან ჩემთვის ბნდებიან,  
გალა, ვლადიმერ, ჯანუკი მოვლენ და მონმად მყეებიან,  
მას გააგონნენ, რანიცა ცეცხლნი უშრეტნი მდებიან.

შემოდინან „შეიდნივ“ — შოთა რუსთაველი, ილია ჭავჭავაძე, ვლადიმერ მაიაკოვსკი, ბალაკტინონ ტაგიძე, ირაკლი აბაშიძე, მუხრან მაჭავარიანი, ჯანსუღ ჩარკვიანი.

ირაკლი: თავს არ შეგანყენო,  
მე დავინყებ სიტყვას პირდაპირ,  
არა გადაკვრიო,  
არა ზმით და  
მოიარებით:  
მთელ საბჭოეთში,  
მთელ კავშირში,  
აბა, ვინ დათვლის,  
და ჩვენშიც, ჩვენშიც  
დღეს ბევრნი ვართ  
მსხდომიარენი.

**პლაქიფარი:** ვხედავ — მოძრაობა დიდი  
სამმართველოებში,  
კომიტეტებში,  
დანესებულებებში —  
ხალხი უამრავი მიდის.  
ქალღაღების წვიმა, აი, აქ არის.  
შენიობაში შეხვალ და ეს დაგხვდება:  
აურჩევითი ქალღაღები —  
ყველაზე მთავარი! —  
და ხალხი ჯდომებზე  
მიემართება

ირაკლი: ესდებით მეფურად,  
სხდომის დარბაზს  
კეცთავთ ურდულით,  
ცეცხლიც რომ გაჩნდეს...  
ზოივართ მედგრად  
და უმტკიცესად.

დანარჩენი ნახევრები  
სად დაკარგულა?  
თურმე —  
ისინი ერთდროულად ორ  
სხდომაზე არიან.  
ოცამდე სხდომას  
უნდა დავესწროთ, —  
ამას ვერ უშველის  
დაღრეჯა —  
უნდა მოვასწროთ, რას ი  
ძალაუნებურად გვიხდება  
გაგლეჯა!  
ქამრამდე — აქ,  
დანარჩენი —  
იქ.

ირაკლი: შენსობას ორგან,  
ახლა სამგან ვზივართ კრებაზე:  
ცალკე ხელ-ფეხი,  
ცალკე ზურგი,  
ცალკე ცხვირ-პირი.

**ილია:** ყველაფერი შესაძლებელია იქ.  
სადაც დავთრები დაკარგულია,  
სადაც თავი და ბოლო ვერავის  
მიუვინა.

# შეშვადო, ვინ დაჰინუნოსა!

**ირაკლი:** დღეში ცხრა კრება  
არ იხილოს  
მის ტკბილ ოჯახში,  
რის უფროსია,  
რის ვაჟკაცი,  
რისი ქართველი?

**ჯანსუღი:** ვნერ, ვშლი და ისევ —  
ვნერ, ვშლი და ისევ...

**ირაკლი:** ვიცავთ კრებების ყველა  
კანონს,  
ყველა განაწესს.

**მუსრანი:** თავმჯდომარე ორატორებს  
უხმობს სიით  
და...

**ირაკლი:** ვუცდით ჩვენს ჯერს და  
ერთი კვირით ადრე დანერვილს  
ვეითხულობთ სიტყვებს —  
ნერა-კითხვა, მაშ,  
რად ვისწავლეთ?  
სიტყვებს ვაგებებთ  
ათას ფუთში,  
ათას ცენტნერში;  
ბრძნულად ვთათბირობთ,  
მაღლა ვიგრებთ  
შავ-შავ ულვაშებს.

**ილია:** ამ ვაჟბატონებს სალაპარაკოდ  
ენა კი ექავებათ და რას ამბობენ და  
რას არა, ამისა კი არა გაეგებათ რა.  
ქართული ანდაზისა არ იყოს —  
კოდალაჲ, შენ სულ იგრი  
აკაკუნებ, მაგრამ შენი გაკეფე-  
ბული ხარატულები ვერა ვნა-  
ხეო!

**შოთა:** კვლა ერთმანეთსა მიუგეს  
სიტყვები არ პირ-მკვასები.

**ჯანსუღი:** ჩვენ არ გვაკლია ფუფუნება.  
სტავრა და ფარჩა,  
ტაშისცემაში ვეჯიბრებით  
აქ პოეტები...

**გალაკტიონი:** აპლოდისმენტი  
ხანდახან არის  
ის ზენა ქარი,  
შენ რომ ისმენდი,  
ამოძრავება  
სიყალბის ჩქარის —  
აი, რა არის  
აპლოდისმენტი.

**ილია:** კმაყოფილება კაცის  
მომაკვდინებელია.

**ირაკლი:** ვთქვათ, ეს დამთავრდა —  
სულ კარგი და მეტად  
კეთილი,  
მაგრამ ჩვენ ახლა  
ისევ თავს ვყოფთ  
ახალ ჭაპანში:  
ტრესტის აქტივის  
ყველა პუნქტი,  
ყველა ნერტილი  
დაგვყავს ძირამდე  
შენს ბაღდადში,  
ჩემს შორაპანში.  
რაი-კლუბებში,  
რაი-სკვერში,  
რაი-ცენტრებში  
ვდგამთ ყველგან  
რაი-მომსხენებლებს,  
როგორც მულაშებს.

**ილია:** თითქოს ეს ამოდენა კორიანტელი  
მარტო იმისათვის აუყენებიათო,  
რომ ქვეყანას დაანახვონ — აი  
საქმე რა ადვილი მოსავლელია.

**მუსრანი:** და...

გეგნებათ შენიშნული, ალბათ,  
ჩანყობანი როცა მდებარეობს —  
ზოგიერთი, ვინც ვერ უძლებს ამას,  
დარბაზიდან  
ფეხსკერებით  
გადის...

**ვლადიმერი:** უკვე თენდება...

**ჯანსუღი:** რისთვის ვიდავით,  
ღმერთო ჩემო,  
გაძარცულ ქართან?

**ვლადიმერი:** ვოცნებობ და ჩქარა  
ეს დილაც მოვა:  
„ისეთი სხდომა  
როდის დადგება,  
რომ ყოველგვარი მან  
მოსპოს სხდომა!“

**ჯანსუღი:** დიახ, შენ ბრძანე სიტყვა  
კაცური,  
სიტყვა პოეტის, სიტყვა  
მორწმუნის,  
ამ დროს, მავანნი მთლად  
დაქანცულნი,  
თბილ საგარძღვეში ისხდნენ  
მორჭმულნი.

**ილია:** რად ვიბრძავებთ თვალებს და  
ჭეშმარიტს მიზეზს ჩვენის სისუს-  
ტისას პირდაპირ თვალს არ  
გავუსწორებთ?

**შოთა:** მო, ვითათბიროთ, ვითა ვქმნათ?

**ჯანსუღი:** იქნებ იყოს მეტი ნიჭი,  
მეტი მიგნება?

**ილია:** ცუდად ჯდომას, ცუდად შრომა  
სჯობია.

**ჯანსუღი:** ღმერთო...  
დაიფარე საქართველო  
შინაური მტრისგან!

**შოთა:** ეგე თათბირი არ ვარგა,  
სხვაებრ ვქნათ თავის ტერება.

**ირაკლი:** ომი გამცდენთან,  
ომი წუნთან,  
ომი ამრევთან..

**შოთა:** ესე მეტად მომეწონა თათბირი  
და გამორჩევა.

**ერთხმად:** ომი გამცდენთან!

ომი წუნთან!  
ომი ამრევთან!

სხდომის მონაწილენი მაგრად ართმევენ  
ერთმანეთს ხელს და ტოვებენ დარბაზს

ეპილოგის მაგივარ  
თქმული სხდომის  
ორგანიზატორის მიერ


შოთა რუსთაველმა თავისი უზად-  
ლო პოემის გამრეხს დაბადებიდან  
ქორწინებამდე ურიცხვი ბრძოლა, ნა-  
დიმი და ნადირობა ისე გადახდევინა,  
რომ მათ მხოლოდ 4 თათბირი ჩაატა-  
რეს, მხოლოდ 4 (!)


შევახსენებთ: პირველ უნდა იყოს  
საქმე და მერე სიტყვა და როგორც  
ბრძენი ილია ბრძანებს — სიტყვა თქმა  
და არა ქმნა. თქმისა და ქმნის შუა  
დიდი ზღვარია!

სხდომის სტენოგრაფია ჩანერა

გვიპი პატრიარქილმა

ნახ. ჯ. ლოლუასი





— იქნებ შევწყვიტოთ ტაში, სანამ ცეკვაზე გადავსულ ვართ!...

## ანდუზები

- ლაბორანტი ჩვენი აზრად ველარ დარბის ბაზარ-ბაზარ.
- აღრე ამდგარსა ნაზისა უფროსი ველარ დასჯისა.
- მოტანტალე ასანიჩი მოახვედრეს „აფსაიდში“.

### 3. გამუკელაშვილი

თითქოს ცეკვის წრე ჰყოლოდეს ამ ჩვენს ღირეჭტორს, მაღიანს: თანამშრომლები მის ირგვლივ ფეხის წვერებზე დადიან.

გიორგი ალავერდაშვილი



— ამხანაგებო! ვალდებულებას ვკისრულობ, რეგლამენტით გათვალისწინებული დროის მონაკვეთში სამჯერ მეტ ვილაპარაკო!...

## პირდაპირ საოცებელი

როგორ გამიმართლა, რომ აღრე დამთავრდა ეს თათბირი! ცოტაც და, ალბათ, ვერ მივუსწრებდი მეხუთეს. გატყობთ, ერთი სული გაქვთ შეიტყუოთ, რაზე ვთათბირობდით 23 კაცი 2 საათის განმავლობაში! წარმოდგინეთ, ამჯერადაც შრომის დისციპლინის დარღვევაზე იყო მსჯელობა. პირდაპირ საოცარია, ამდენს ვთათბირობთ, ვმსჯელობთ ამ საკითხზე, ამდენ ენერგიას ვხარჯავთ და მაინც ვერ ამოვძიარკვეთ ერთხელ და სამუდამოდ ჩვენი საზოგადოებისათვის შეუწყნარებელი ეს ნაკლი! როგორც ჩანს, საჭიროა თათბირშედეგიანობის (თათბირის ერთ მონაწილეზე გაანგარიშებით) მკვეთრი ამაღლება. დღევანდელი თათბირი ამ მხრივ სამაგალითოა. აქ, დღეს, გულანდლი, მე ვიტყვოდი, მთლიანად გულანდელი საუბარი გაიმართა ჩვენი ბიბლიოთეკის მუშაკის — ამხანაგ სეფერთელაძის მიერ სამუშაო დროის 13 წუთით გაცდენის თაობაზე. კამათში გამოსულმა ყველა ამ ხანაგმა აღნიშნულ ფაქტს ამომწურავი, უფრო ზუსტად, გულდაგულ დაწურული და პრინციპული შეფასება მისცა, გაგაცნობთ ზოგიერთ მათგანს:

— აი, ამხანაგებო, რატომ არ სრულდება შრომის ნაყოფიერების გეგმა და რატომ ჩამორჩება მისი ზრდის ტემპი საშუალო ხელფასის ზრდის ტემპს! — პროფესიული გულისტკივლით აღნიშნა შრომისა და ხელფასის განყოფილების გამგემ;

— ხელფასიდან უნდა დაფუძვითოთ! — განაცხადა ბუღალტერმა.

— ეს საკითხი საგანგებო მსჯელობის საგნად უნდა გავხადოთ! უნდა მივიღოთ გადაწყვეტილი ზომები, რათა მომავალში არ განმეორდეს მსგავსი, თუ გნებავთ, ოდნავადაც რომ მას ჩამოგვადგეს, ისეთი ფაქტი! — დასკვნა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ მებრძოლი კომისიის თავმჯდომარემ.

— არა, ამხანაგებო! ასე ჩვენ საქმეს ვერ ვუშვებით! საჭიროა, ჩავატაროთ ფართო სოციოლოგიური გამოკვლევა! უნდა შევიმუშაოთ სოციომეტრიული ტესტი, ანუ სოციომეტრიული კითხვარი, რათა რესპონდენტის ქცევები მეცნიერულ საფუძველზე იქნეს შესწავლილი! — დასძინა საზოგადოებრივი აზრის საბჭოს თავმჯდომარემ.


— თუ ძმა ხარ, შეწყვიტე ეს ლექცია! რა სოციოლოგიური გამოკვლევა უნდა ამ ფაქტს?! ამხანაგ სეფერთელაძეს გადაუდებელი პირადი საქმე ჰქონდა, მე მთხოვა და გაფუშვი! — ცოტა გაბრაზებული ტონით განაცხადა ღირეჭტორის მოადგილემ.

— კი მაგრამ, აქამდე რატომ არ თქვი?! — აღფრთოდა ღირეჭტორი.

— ვინ მკითხა?! ანდა, რომ ეკითხათ და მეთქვა, თათბირების ჩატარების გეგმას რა ეშველებოდა მაშინ?! — ირონიულად ჩაილაპარაკა მოადგილემ.

ირონია — ირონიად, მაგრამ ღირეჭტორის მოადგილე ერთ რამეში სწორია. მთავარი ის კი არ არის, რაზე ვმსჯელობთ 2 საათი, მთავარია, გეგმის შესრულება (თათბირების გეგმის!). მე რომ მკითხოს კაცმა, უნდა შევამძიროთ თათბირების ჩატარებისათვის განკუთვნილი დრო. ორი საათის ნაცვლად, ყოველ თათბირს ერთ საათში ანუ ჩატარებთ, ამ ღონისძიებით ავტომატურად გაიზარდება თათბირების რიცხვი. ამ შემთხვევაში დღეში უმტკივნეულოდ შეიძლება ჩატარდეს არა სამი-ოთხი, არამედ ორჯერ უფრო მეტი — ექვსი-რვა თათბირი. თუ არასამუშაო დროსაც გამოვიყენებთ, რა თქმა უნდა, მაშინ თათბირების რიცხვი შეიძლება, სამჯერ და უფრო მეტადაც გაიზარდოს, რაც თათბირნაყოფიერების (თათბირის ერთ მონაწილეზე გაანგარიშებით) მნიშვნელოვან ზრდას გვპირდება! ახლა მაპატიეთ, მეხუთე თათბირზე მიმეჩქარება!

ლაქლაქა თათბირომანი



— ამხანაგებო! ჩვენი გაერთიანების გაერთიანებულ კრებას, მიძღვნილ დისციპლინის განმტკიცების საკითხისადმი, გახსნილად ვაცხადებ!

## სხარტულები

— მე, ბატონო უფროსო, თქვენთან განცხადება მქონდა შემოტანილი და მითხრეს, დაგვეკარგაო!..  
— შემოიტანეთ განცხადება განცხადების დაკარგვის თაობაზე და განვიხილავთ!

— აღებულ ვალდებულებებს რომ არ ასრულებ, რისი იმედი გაქვს, წლის ბოლოს რას იზამ?!  
— ახალ ვალდებულებებს ავიღებ!

— პენსიაზე გახვლისთვის საჭირო საბუთების შეგროვებას უნდა შევუდგე!

— რა დროს შენი პენსიაა?

— ხანამ საბუთებს შევავსოვებდე, საპენსიო ასაკსაც მივალწევ!

— ამდენი ფულის მატანით გავთავდით, კაცო! როდის ველირები გავიგონო, ქელები მოკვდაო!..

— არ გადამრიო, ქალო! ქელები რომ მოკვდეს, მის გასვენებაზეც ფული გვექნება მისახანი!

ბიუროკრატები იმქვეყნად დაწინაურეს — მიქელ-გაბრიელის პოსტზე დანიშნეს. სამოთხეში მიცვალებულთა მიღება შეწყდა.

გიგლა ბახტაძე

ნახ. ს. ვატიკინისა

(„ლიტერატურაზე გაზეთი“)



— წვედი თათბირზე!..

# გულახდილობის ნიშუი

— ხომ იცი, დღეს თათბირია!  
— ვიცი, ბატონო დირექტორო!  
— ზემოდან გვესწრებიან, სიტყვით უნდა გამოხვიდე!  
— ვიცი, მოადგილემაც გამაფრთხილა, დავწერე კიდევ სიტყვა, ალბათ ნახეთ.  
— ვნახე. ჩაშალაშინება დაჭირდება!  
— ციტატები არ მიყვარს, სხვისი აზრებით მეტყველებას შეჩვეული არა ვარ, ჩემი რწმენა მაქვს, როგორც ყველას...  
— ასეც უნდა! ისე, არ გეწყინოს და, — უფრიდან საქალაქდ ამოიღო დირექტორმა, — შესავალი ზედმეტი. აი, ეს კი არ ვარგა: „...ამხანაგებო, აქედანვე მინდა განვაცხადო, რომ ჩვენთან ბევრი რამ წესრიგში არ არის...“  
— ბატონო დირექტორო...  
— „...ზოგი რამ უნდა გამოსწორდეს, ამისთვის დირექცია სისტემატურად ღებულობს ზომებს...“, ასე თქვი! გასაგებია?  
დუმილი.  
— „...დატყვება, მიწერები, უდისციპლინობა, უკონტროლობა და ხარისხისადმი გულგრილობაა გამეფებული...“ — ეს ცილისწამებაა!  
— ბატონო დირექტორო!..

— „...ბევრი ცდილობდა, ხელეყო სახელმწიფო ქონება, დირექციამ დროულად გზა გადაუღო მათ ამ მცდელობას და ძირშივე აღკვეთა...“ — ასე უნდა ითქვას!

— ბატონო...

— მოიცა, — შეაწყვეტინა დირექტორმა, — ყური მიგდე: „...ზოგი ხელმძღვანელი, დახმარების მაგიერ, მითითებებით კმაყოფილდება, საქმით კი არაფერს გვეხმარება...“ — აზრზე თუ ხარ, რას ამბობ?

— ბატონო დირექტორო!..

— მოიცა, ენა წინ ნუ გისწრებს: „...იყო შემთხვევა, ზემდგომი ორგანოები ჩვენს საჩივრებსა თუ მოთხოვნებზე რეაგირებას აგვიანებდნენ, დიდხანს სწავლობდნენ...“ — ამის თქმა ასეა საჭირო: „თაღლითობასა, თვალთმაქცობასა და დემაგოგიურ დაპირებებში შემჩნეული კომპეტენტური პირები, როგორც ეს არაერთხელ ხაზგასმით არის ნათქვამი ხელმძღვანელთა გამოსვლებში, სასტიკად უნდა დაისაჯონ, რადგან მათი მოქმედება წინსვლაში ხელს გვიშლის! თაღლითებს, თვალთმაქცებსა და დემაგოგებს სასტიკად უნდა ვებრძოლოთ!..“

— ბატონო დირექტორო!..

— მოიცა-მეთქი!

— მერედა, როდემდე? საჭიროა რადიკალური ზომები, სიტყვიდან საქმეზე გადასვლა!..

— პაპ, პაპ, რა მკაცრი ვინმე ყოფილხარ! კაცმა რომ ყური გიგდოს, საწარმოების დახურვა მოგვინებს!.. — შეუბღვირა დირექტორმა, — უყურე ერთი შენ ამას?!

— ბატონო დირექტორო!..

— ბატონო კი არა, ის არ გინდა?!. როგორ გგონია, ზომებს არ ვღებულობ?

თანამშრომელმა თავი ჩაჰქინდრა.

— არა, ბიძია, ამ განწყობილებით შორს ვერ წახვალ, არ მომწონს შენი სიჯიუტე, ნინიას ბალი არ გეგონოს, აქ სახალხო დოვლათი იქმნება!..

— ბევრი რამ არც მე მომწონს...

— რაო?! მაინც არ იშლი შენსას?! რა არ მოგწონს, მაგალითად?!

— აი, თუნდაც, თქვენი, როგორც დირექტორის, დამოკიდებულება საერთო საქმისადმი!..

— როგორ?! ვის უბედავ თუ იცი?! გაეთრიე აქედან!

თანამშრომელი წამოდგა, აღმურმა გადაჰკრა...

— ორმოცი წელი აქ ვმუშაობ, ოცამდე ხელმძღვანელს მოვესწარი, არც ერთთან არ შევრცხვენილვარ. მიდიოდნენ და მოდიოდნენ, მე კი აქ ვრჩებოდი... თქვენც წახვალთ, თანაც უფრო ჩქარა, ვიდრე გგონიათ!..

დირექტორს ენა ჩაუვარდა... გონს რომ მოეგო, თავს ექიმი წამოსდგომოდა!

გაგლარ მუჯირიშვილი



— ეშმაკსაც ნაულია ეს თათბირები!..

## თვითონაც განამეხუდია!

მოგახსენებამთ, დაბნეულობა დიდი და მოაზროვნე ადამიანის თვისებაა. რაღა ბატონი დანდური იქნება ამ მხრივ გამოწყლის? უფრო მეტიც, დაბნეულობა დაბნეული კაცია ბატონი დანდური. ოჯახში ხომ თავი მოაბეზრა ყველას თავისი დაბნეულობით! წარმოიდგინეთ, რა დღეში ეყოლება თანამშრომლები?! ვის რას ავალდებს და ვის რას სთხოვს, ვის რას უსაყვედურებს და ვის რაში უხდის მადლობას...

აიღებს ბატონი დანდური ყურმილს და... გაახსენდება, რომ ზუსტად ამ დროს თათბირზე უნდა იყოს. გამოვარდება გარეთ და მოავიწყდება, რომ ვიღაცა ჰყავს დაბარებული. რომ ფიქრობს, იმ ვიღაცას, დაელოდოს თუ თათბირზე წავიდეს, უცებ შუბლში იტკიცებს ხელს — არც თათბირზე აგვიანდება თურმე და არც ვიღაცა ჰყავს დაბარებული...

თქვენ უნდა ნახოთ იმ სუფრის წამება, სადაც ბატონი დანდურია თამადად. სუფრის ხელმძღვანელობა კი, ბატონ დანდურს, როგორც პატვისავე პიროვნებას, სწორად უწევს. სადღეგრძელოთა რიგი ყოველთვის ეშლება. დეიდები არა ჰყავს ნაღვგრძელოები და დეიდაშვილებს ლოცავს. მშობლების სადღეგრძელო არ შეუხვამს და მეზობლებს ამომავალ მზეს ადარებს. მკვლარს ცოცხლებში ურევს და ცოცხლებს — მკვდრებში. სუფრა აიშლება და ირკვევა, რომ იმის სადღეგრძელო არ შესმულა ვისი მიზეზითაც სუფრა გაიშალა.

სტადიონზე ხომ თავბრუს იწყველის ბატონი დანდური: თამაში თავდება და ჩრდილოეთის სექტორში ადგილს დაიძებს, ხელში კი დასავლეთი სექტორის ბილეთი უჭირავს...

ცოდვის განკითხვა ის დღე, როცა ბატონი დანდური კაბინეტში სამუშაო მაგიდას უზის და მოხსენებას წერს: აიღებს წიგნს, გადმოიწერს რაღაცას, არ მოეწონება, დახეხს, დაკუნჯავს, უკეთეს შემთხვევაში, წაშლის ან დაკუნჯის და კალთაში უკრავს თავს. სხვა წიგნს აიღებს, კარგა ბლომად გადაიწერს... ბოლოს ირკვევა, რომ ამაოდ დაშვრალა, სხვა წიგნიდან გადაუწერია შეცდომით.

გადადებს სამუშაოს. ასე მეორდება კარგა ხანს. ბოლოს და ბოლოს, რაღაცას მიაბამს. მოაბამს ერთმანეთს. გადააბეჭდინებს...

მიდის სამინისტროში. მინისტრის კაბინეტში ირკვევა, რომ მოხსენება შინ დარჩენია!..

რაღა ბევრი გავაგრძელო, ჩემო ძვირფასო მკითხველო, სხვებს ხომ გაუშრო სისხლი ბატონმა დანდურმა თავისი დაბნეულობით, თვითონაც გაწამებულია!..

ბასს გეპიძ

როდის

მოვასწრებ?

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

— მოდი, ეს სურათი გავადიდებინოთ, მე მგონი, კარგია!..  
— მთლად გამოშტერდა ეს კაცი! ვერა ხედავ, სადგურის ჯიბ-გირს რომ ჰგავხარ?! წესიერად მაინც გეხუროს ქუდი?!.. აი, ეს სურათი გავადიდოთ! რას უნუნებ ამას?!  
— რას ამბობ, ქალო?! ამ სურათში, საკუთარი თავის მეტს, ყველაფერს ვგავარ, ჭირიანი ვეგონები კაცს!.. აი, ამ სურათში არა მიშავს!

— გადააგდე აქედან! ვერ ვიტან მაგ სურათს! რას გიგავს ულვაშები?! აბა, ეს სურათი ვნახოთ!

— თუ ქალი ხარ, მაგი სურათი არ მაჩვენო და, რა გინდა ჩემგან! ქოსას ვგავარ!.. ამ სურათს არა უჭირს, მგონია!..

— მაგ სურათში გაუპარსავი ხარ, რომ გაადიდებ, საშინელებს იქნება!.. ეს სურათი წაილე!..

— მაგის გადიდებას, მირჩენია, საერთოდ არ დარჩეს ჩემი სურათი!.. ეს გავადიდებინოთ და მორჩა!..

— მომამოვრე აქედან! მაგ სურათში ყველის ვაჭარით იკრიჭები!..

— ამ სურათზე რას იტყვი?

— ეგ რამ გაფიქრებინა?! დამხრწალ კატას ჰგავხარ!

— აბა, რა ვქნა?! ხან დამხრწალ კატას ვგავარ, ხან ვიკრიჭები, ხან გაუპარსავი ვარ, ხან რას ვგავარ და ხან — რას!.. აბა, არ გავადიდებინო სურათი?!

— რა გაყვირებს, ადამიანო?! გადაილე ერთი წესიერი სურათი და გაადიდებინე! ბოლოს და ბოლოს, მე უნდა ამომხდეს სული მაგის ყურებაში, შენ რა გენალვლება?!

— როდის მოვასწრებ?! ხვალ უთენია გავდივარ ქალაქიდან!

— რახან ასეა, ნელა ატარე მანქანა და აღარ დაგჭირდება სურათის გადიდება! იმ კვირას მაინც უნდა ჩახვიდე სოფელში ყველაფერს მოასწრებ!

ნოზაღი გართანია

ნახ. 3. ფირცხალაზასი



— აგაშენათ ღმერთმა, სამუშაოზე ყველა რომ დროულად ცხადდებოდა — უკვე სამი სვიტრი მოვესოვე.



— დააშავა რამე?!  
— არა, თათბირზე არ მომყვებოდა!

# ჩივი

ელეგია

## დაიწყო კრება!

ძალიან მიყვარს კრება. აქ სულიერად და ფიზიკურად ვისვენებ ხოლმე. ათასი მომსვლელ-მომსვლელი-საგან გალაყბულ თავს მარჯვენა მხარზე გადავიდებ, თვალებს მივლულავ და ნეტარებით ფიქრს ვეძლევი. რაზე ვფიქრობ? საფიქრალს რა დალევს: ხან სუპერთასს მოვაგებინებ ჩვენს „დინამოს“, ხან სოფილორენტან ერთად დავსეირნობ რიო-დე-ჟანეიროს პლაჟზე (თუმცა ბევრი ახალი კინოვარსკვლავი გამოჩნდა, რა ვქნა, მე ძველი სიყვარულის ერთგული დავრჩი!), ხან დირექტორი მაჯილდოებს ორი თვის ხელფასით...

ამიტომ გავიხარე, როდესაც თანამშრომელმა შემოიძახა, დღეს კრება გექონიაო!

ჰოდა, ვზივარ ჩემთვის მარჯვენა მხარზე თავგადადებული, თვალებმილულული და მომხსენებლის ხმანანასავით ჩამესმის. ისე ტკბილად ლაპარაკობს ის დალოცვილი, ფირზე რომ ჩაინერო და „ძილისპირულის“ დროს დაუკრა, არც ერთი დედა აღარ განვაღდება პატარების დაძინებაზე. ტანში თაფლზე ტკბილი ჟრუანტელი დაგივლის, თითქოს ჩეხური ლუდი დაგელიოს! ჩვენთან კრებაზე მუდამ ეგ გამოდის მოხსენებით და ხმა დაყენებული აქვს. კრების პატენტიანი თავმჯდომარეც გვყავს, ღმერთმა იმისი ოჯახი ააშენოს! გამოაცხადებს მომხსენებელს, ჯერ დამჯდარიც არ არის, უცებ გამოუშტერდება თვალები, ასე თვალღია წაუძინებს და, როგორც კარგი დირიჟორი, კრებას თითქოს ანიშნებს, მომყვითო! არის ერთი იდილია!

მე შურიანი არა ვარ, მაგრამ მაგისი მშურს. ბევრიც ვეცადო, ვერ ვერ მოვახერხებ. წარმოიდგინეთ, თვალს არ დაახამხამებს, ისე, ღია, ცისფერი თვალებით უყურებს რალაც უხილავ ნერტილს, არც თავი ჩამოუვარდება, ეტყობა, ძალიან ჯანმრთელია, რომ სიზმარი არ იცის, თორემ, ან ავი დაესიზმროს, ან კეთილი, — სახის გამომეტყველებაზე ხომ უნდა შეეცდოს?! აი, განყოფილების გამგე მაგას სულ ვერ შეედრება. ისიც მუდამ პრეზიდენტში ზის. მართალია, თავმჯდომარეზე ადრე იძინებს, მაგრამ საცოდაობაა მისი ყურება! ასჯერ უნდა ჩამოუვარდეს თავი! არც ნიკაპზე ხელის მიბჯენა იცის ნესიერი, არც სავარძელში მოკალათება. არადა, ამ ხნის კაცია, რამდენ კრებას დასწრებია!

ყველაფერი ნიჭზეა დამოკიდებული. კრების მდივანი ისე ზის, გეგონება, ღვიძავსო. არ ყოფილა შემთხვევა, კალმისტარი რომ გავარდნოდეს ხელიდან. ადრე გვყავდა ერთი, მაგრამ იმას აღარ ვირჩევთ: ხვრინვა იცოდა. ხვრინვას მატარებელშიც ვერ იტანს კაცი!

კოლექტივში კარგი ახალგაზრდობა გვყავს. სულ გასუსულია! ბევრჯერ გადამინყვეტია, ერთი თვალი გავაპარო, რას აკეთებენ, მომხსენებელს უსმენენ? ჩვენ გვიყურებენ?.. მაგრამ თვალის გახელა არ გინდა?..

კარგი მოგონებაა ქალაქში მანქანების ხმოვანი სიგნალების აკრძალვა! ხანდახან მიფიქრია: ძველად, ძალიან ძველად, როდესაც ჩემს დედათბილისში ტრანსპორტი არ დადიოდა, რა ხელსაყრელი პირობები იქნებოდა კრებებისათვის!

კრებაზე ძილი სულ სხვაა, ლოგინში ძილი ვერ შეედრება!

კრებაზე რომ გძინავს, ყველაფერი გესმის, თუმცა გაურკვევლად, მაგრამ გარე სამყაროს მაჯისცემა მაინც გესმის. ერთადერთი გრძნობა, რომელიც ამ დროს ასი პროცენტით ჩლუნვდება, მხედველობაა, სამაგიეროდ, დამატებითი გრძნობა გიჩნდება. მისი სახელი ჯერ ვერ დამიდგენია, მაგრამ ბევრი თქვენგანისთვის ნაცნობი იქნება: ეს არის საოცარი სიამის, მე ვიტყვოდი, ნეტარების გრძნობა. ამ დროს უხილავი ფრთები გასხია, მსუბუქ ბურანში დაფრინავ, ნელა: ნარნარად, ხან მაღლა, ხან — დაბლა. რაც მთავარია, არც ცოლი გეპუზლუნება, არც უფროსი გემუქრება კრებაზე! საოცარია! კრებაზე ზიხარ და ფიზიკურად კი მეშვიდე ცაზე ხარ!

ვაი, რა ტკბილი განცდაა ყოველი გამოღვიძება! გამოიღვიძებ და, სულ ერთი წამის შემდეგ, ისევ აგაფრენს ცაში უხილავი ფრთები. სანოლში რომ გამომეღვიძება, დილამდე ვბორგავ, ველარ ვიძინებ. კრებაზე რომ გამომეღვიძება, ძილი ზედ წამწამზე მიზის!.. ასე გრძელდება უსასრულოდ, კრების დამთავრებადე!..

მაღლობა ღმერთს, კრება გვარიანი გრძელი ვიცით! ჩემო კარგებო, ყოველ კეთილს თავისი დასასრული აქვს. აი, ახლაც ვიგრძენი, რომ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. არ ყოფილა შემთხვევა, რომ მომხსენებელს ჩასძინებოდეს! ასეთი რამ არსად ხდება! ეს სამარისებური სიჩუმე მალვძიებს, თვალებს ვახელ, მიმოვიხედავ: თანამშრომლები დასვენებული, ოდნავ ღიმილიანი, ოდნავ სევდიანი თვალებით უყურებენ ერთმანეთს!..


კრებამ, რომელიც ეძღვნებოდა ფორმალიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, ერთხმად მიიღო ღონისძიების პროექტი.

რაფიელ მაგულაშვილი

„იშვიათი როდია შემთხვევები, როცა სამუშაო დროს რესტორნებთან ვხვდეთ ბევრ ავტომობილს, როგორც პირადი სატვირთოს, ისე სახელმწიფო ავტომანქანებს.

გაზეთიდან

ნახ. ჯ. ლოლუსი



— ეს ახალი ავტოსადგურია?  
— არა — ახალი რესტორანი!..

ერუდიტი

ერთი ერუდიტი ეკითხება მეორეს:

— ჩვენი თეატრის ახალი დადგმა ხომ არ გინახავს?

— არა, სამწუხაროდ!

— გუშინ რადიოთი მოვისმინე, მივხვდი, ილიას „მგზავრის წერილები“ რომ იყო. კარგია... ოღონდ, ლუარსაბ თათქარიძე საიდან ჩაეკვება?.. ოჩენ სტანანო!

— ახალი კინოკომედია თუ ნახე — „პარიზი-თბილისი“ და უკან?

— არა, სამწუხაროდ, ჭერ ვერა...

— მეც ამას წინათ რადიოდან მოვისმინე და სწორე გითხრა, ვერაფერი გავიგე...

— ხვალ ჩვენი „დინამო“ თამაშობს, მოდიხარ სტადიონზე?

— არა, რადიორეპორტაჟი მირჩევია!

— აბა, წავედი სამსახურში..

— რადიოთი მოსმენა არ ჯობია?!

ავთანდილ ტყეშელაშვილი

## მოკავიება თიანეთში

ნიანგი ხარ, შენი თვალი  
საღლა აღარ სწვდება!  
თიანეთშიც ჩამობრძანდი,  
ნახე, აქ რა ხდება!

ნიანგი ხარ, მაგრამ მაინც  
დაგიკოცნი ტუჩებს,  
ოღონდ რაიმე ეშველოს  
ჩვენი დაბის ქუჩებს!

წინათ, მახსოვს, გემრიელ და  
გამომცხვარ პურს ვჭამდით,  
ახლა ყველა ცომ პურს ვყლაპავთ! —  
ნახე, ჩამობრძანდი!..

ზოგ ბოძებზე ელნათურებს  
გული აღარ უცემთ!..  
ლორები და ცხვარ-ძროხები  
შესევინა ქუჩებს!


დღეს ცენტრალურ ადგილებსაც  
აქ არავინ არ გვის! —  
ქუჩა, ბაღი, მოედანი  
ბუდე გახდა ნავის!..

იერისპირას (!) მიღებს უწყლოდ  
დაულით ხახა!..  
ჩამობრძანდი ბევრ საკბილოს  
შენი თვალით ნახავ!

ვარლამ გუჩუაშვილი  
(დაბა თიანეთი)



ნახ. ზ. ფორჩხიძისა



— რომელ საათზე იწყებთ მუშაობას?  
— სამუშაოს ცხრა საათზე, მაგრამ მუშაობას ასე, ორი-სამი საათის შემდეგ!..

— მაჭაჭუნა! დამიძახე, ერთი, თანამშრომლებს! — თქვა თუ არა ეს, რაიონული გაზეთის რედაქტორმა როსტომმა, თავლი თავის კაბინეტს მოავლო და მზერა კარადის თავზე შემოდგმულ გრაფინზე შეაჩერა.

— წყალი! — თქვა როსტომმა და ისევ მაჭაჭუნასკენ გაიხედა.

ათ წუთში კაბინეტში შემოინკაპნენ რედაქციის თანამშრომლები. როსტომის ფერმკრთალი სახე, აჩქარებული სუნთქვა და ხელში წყლით სავსე ჭიქა, რომელსაც ნელ-ნელა, სვენებ-სვენებით წრუბავდა, ნაცნობი სიმპტომი იყო ყოველი მათგანისათვის.

— არა, არა, აღარ მჭირდებით დღეს! დარჩეს მარტო მოადგილე და პასუხისმგებელი მდივანი! — თქვა რედაქტორმა. კაბინეტში სამი დარჩნენ.

— ვიღუპებით ძმებოოო! — ბოლო სიტყვა საკმაოდ გააგრილა როსტომმა და მერე წაუღიღინა კიდეც — ვიღუპებით, ძმებო, ძმებოოო, ერთგულეებოოო!.. ახლა რაიკომიდან მოვდივარ. ტყავი გამაძრო მდივანმა, ვისთვის უშვებთ ამ გაზეთსო?! მარტო პანაშვილებისათვის თუ ვცემთ, მითხარი და მაშინ სახელს გამოვუცვლითო! იცით, რას ვიზამ?

— გვიმხარი, ბატონო როსტომ, რა ვქნათ და, თუ საჭიროა, თავდაყირა დავდგებით! — როგორც იქნა, ამოშაქრა პ. მგ. მდივანმა.

— თავდაყირა კი არა, ორივე ფეხზე რომ დგახართ... — აქ პაუზა გააკეთა როსტომმა და მერე კატეგორიული ტონით დაუმატა: — შემდეგ ნომერში რაიმე კონკრეტული მასალა რომ არ გამოვაქვეყნოთ, უნდა მიტოვოთ, ძმებო!

— რასთან დაკავშირებით? — იკითხა ვალოდია მოადგილემ და სანერ-კალამი მოიმარჯვა.

— კონკრეტულად — ყველაფერთან დაკავშირებით! — განმარტა რედაქტორმა.

— კონკრეტული მაგალითების მეტი რა გაქვს! — თქვა პ. მგ. მდივანმა.

— მაგალითად? — იკითხა როსტომმა.

— ვაჭრობაზე, საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე, მშენებლობაზე, სკოლებზე! მოიცა, კიდეც გავიხსენო! ჰო, ადგილობრივ მრეწველობაზე, შენ ხარ ჩემი ბატონი, ჩაის ფაბრიკაზე, ტუნგის დამზადებაზე!..

— კარგი, კარგი! — უცებ შეანწყვტირა რედაქტორმა და ფეხზე წამოიჭრა. — გაუთიე, ხომ?! გახსენება კარგი იცო! საქმე?! მასე, შე კაცო, დილაზე ვთვალო, იქნება! ფაქტი, ფაქტი სად არის?! კონკრეტული ანტიკომი მინდა მე, გენაცვალე!

— ფაქტი? რაც ჩამოვთვალე, სუყველა ფაქტია, როსტომ ბატონო! — თქვა პ. მგ. მდივანმა.

— რა არის, კაცო, ფაქტი?! ტუნგის დამზადების უფროსი რომ ყულიკია, შენზე კარგად ვიცი მე, მარა, მიდი, ერთი მოკიდე ხელი, თუ ბიჭი ხარ! მაგისი ძმა, იქნება, არ იცი ვინცაა?!

— კი, ბატონო! — თქვა დამნაშავეს ხმით პ. მგ. მდივანმა. — ჩაის მეორე ფაბრიკის გადამწონი რომ ამჟინდა და ფული რით აწონოს, არ იცის...

— გადავირევი კაცი! — იტყუა შუბლში ხელი რედაქტორმა. — მაგათ გინდა შე-მაჯახო?! მერე შენ მოუვლი ჩემს ცოლ-შვილს?!

— სწორია მაგი! — თქვა ვალოდია მოადგილემ, — არ ღირს მაგ ვეშაპებთან ომი! აგერ რაიკავშირის პირველი უნივერსალის მესამე ფილიალი რომაა, ქვემოთ, სიროფიან წყალს რომ ჰყიდის საცოდავად...

# გ ა ზ ი გ ა თ ,



## ქ მ ე ბ ო !

იუმორასა

— ჰო, მერე?! — გაიხსენა როსტომმა.

— თუ გგონიათ, მართლა სიროფიანი წყლით ვაჭრობა მაგი?!

— ვარლამ დავიდოვიჩის სიდედრი? — დააზუსტა რედაქტორმა.

— დიახ!

— მაღაღეც შენ! შენც მაგარი ყოფილხარ, ვალოდიას ვენაცვალე! ესე იგი, გიყი მინახეთ თქვენ ახლა მე, რომ ვარლამ ანონიმისტს ამოვაძრობინო სული?!

ანტიპოდთა კონკრეტული პერსონაჟების გალერეაში, საკმაოდ ობიექტური და არგუმენტირებულ დოსიეთა საფუძველზე, ზედიზედ ცვლიდა ერთი მეორეს გაზეთში „გამოსაჭენებელი კანდიდატები“. ბოლოს, როსტომი ისევ წამოიჭრა ფეხზე, ხელები გაშალა და ხმამაღლა თქვა:


— არაფერი გამოვა, ძმებო! ამდენ ხანს ძმებს გეძახდით, მაგრამ დღეიდან...

— რატომ, როსტომ ძვირფასო?! — ნაწყენი ხმით იკითხა ვალოდია მოადგილემ.

— ოცდათექვსმეტი წელიწადია შენს გვერდით ვარ და...

— ვიცი, ვიცი, მარა... გველშეაპების ხახაში კი მაგდებთ, ძმებო, და!..

— ფიზიკის მასწავლებელი! — დაუბრუნდა უკვე ერთხელ უარყოფილ კანდიდატურას პ. მგ. მდივანი.



კაცო, ფიზიკის, რომ დაგინებდით, გაიგებთ საკითხი გლობალურად უნდა განვიხილოთ, გლობალურად! ხუთიანში ფულს იღებო, ხომ?! მეც კი მუშაობდი არა?! არ გენყინოს, ჩემო კარგო, და დაგილუპავს ბავშვი და ესაა! ჯერ ერთი, ეს ხუთასი მანეთი შენ არ დაგაქცევდა, მარტო მანდარინს ოც ტონას აბარებ სახელმწიფოს! მეორეც, ვინაა თუ იცი შენ, ზეინაბა ბრუცინი?

— ვინ?

— შენა გგონია, მარტო ფიზიკის მასწავლებელია, არა?

— აბა?!

— ხომ ვთქვი მე, გლობალურად-მეთქი?! არ კითხულობ ვინა ჰყავს ძმა, და, ბიძა?! კარგი, მამა მკვდარი ჰყავს, მარა, ბოლოს და ბოლოს, ხანდახან საფლავიდანაც კი უნდა გეშინოდეს ვინმესი!.. არც სიძე, ხომ?! ხალხო, რატომ არ კითხულობთ, როგორ გავძელი მე აქ ოცდათვრამეტი წელიწადი?! გიფიქრიათ როდისმე ამაზე? თქვენ გგონიათ, მე აქ მარტო ტელეფონების წიგნი და ჩვენი რაიონის მოსახლეობის ბინის მისამართები მიწერია? ზეინაბის სიძე!.. — აუნია ხმას რედაქტორმა.

— ვაიმე! — ამოიკვნესა ვალოდია მოადგილემ.

— რა იყო?! — იკითხა როსტომმა

გაგახსენდა, ხომ?!

— გამახსენდა გამახსენდა...

— ჰოდა, მაღლობა ღმერთს!

— არ ვიღუპებოდით ხალხი?!

— აბა! გააქნით უნდა თავი ბიძიებო! — მრავალაზროვნად თქვა როსტომმა.

— კი მაგრამ, აბა, რა ვქნათ?! — თითქმის ერთდროულად იკითხეს მოადგილემ და პ. მგ. მდივანმა

— მყავს მე კანდიდატურა და წყალი არ გაუვა მაგას! — საკმაოდ კატეგორიული ხმით თქვა რედაქტორმა. — არც გვიჩივლებს — დანყო საიმედოდ არგუმენტირება და თითებზე ჩამოთვალა როსტომმა, — ირგვლივ კაცი რომ არ ჰყავს პატრონი, ფიზიკურადაც რომ ჯანმრთელია და ხელში არ ჩაგაკვდება, უხელფასობაც რომ ვერაფერს დააკლებს, არ არის ბოროტი, სულმდაბალი და ღვარძლიანი, კაცისა და ღმერთის გაგება რომ შეუძლია, და, რაც მთვარია, ჩემსას რომ გაიგებს...

— ე, კაცო, გვითხარი ნუ დაგვტანჯე! — დელიათ მოთმინება მოადგილესა და პ. მგ. მდივანს.

— შემირაღეთ, ძმებო! — ხელაპყრობით თქვა როსტომმა. — დამიდექით გვერდში! დროა, აღმოვფხვრათ მუშაობის მანკიერი სტილი! გარდავექნათ რედაქციაში შექმნილი უსულგულობა და უდარდულობა, ბოლო მოვუღოთ ერთფეროვნებასა და არაკონკრეტულობას!..

— არ გვეტყვი, როსტომ ბატონო?!

— ბატონო კი არა, ძმა ვარ შენი, ბიჭო, ვალოდია, და გამიგო უნდა!..

— კი მაგრამ, ვის ვარტყამთ, გვითხარი, ბოლოს და ბოლოს, შე კაცო?! — აენთო ვალოდია მოადგილე.

— შენ, ან უნდა დაგარტყა, ჩემო ძმაო და მეგობარო, ვალოდია! ისევ შენ თუ გამიგებ და მიშველი, ოორემ... — ვერ დაამთავრა თავისი სთქმელი რედაქტორმა, ცარიელ ჭიქას დასცა და, სახაგამშრალმა, ძლივს ამოილულულა: — წყალი, ძმებო!..

წყლით სავსე გრაფინს პირველად ვალოდია მოადგილე ეცა.

ნოდარ გალახონია



— რა ამბავია, ამდენი ერთად რომ მიდიხართ მივლინებაში?!  
 — გეგმა გვიარდება, უფროსო!  
 — შერე, აგერ ტელეფონი და დაურეკეთ — ერთი ციფრის მიწერას რა უნდა?!

### არა უშავს!..

მაგალითი მისცა შეილს — ორი დოქი დალია!..  
 ცოლი არ მოეწონა, ჩაუღურჯა თვალმა!..  
 — „არა უშავს! რა მოხდა?! კაცია და მთვრალია!..“

ზოგს ნათლიამა პატრონობს, ზოგს — ბიძია და მამიდა!..  
 ვინც გებუფეტედ მოვიდა, ყველა „ჭიგულით“ წავიდა!..

ნინო ყავრიშვილი

„ჩვენს რესპუბლიკას ქვეყანაში ყველაზე უარესი მდგომარეობა აქვს ნასვამ მძღოლთა მიერ ჩადენილი საგზაო - სატრანსპორტო შემთხვევების ზრდის დონის მიხედვით“.

გაუთუბიდან



ნახ. ჯ. ლულუაში

უსიტყვოდ

## პასუხები — მოვალეობის მოხლის მიზნით, ანა უაპასუხებელად

„ნიანგს“ ბევრი პასუხი მოხლის გამოქვეყნებულ თუ გადაგზავნილ კრიტიკულ წერილებზე. მიღებულ პასუხთ უმრავლესობა საქმიანია, ასახავს იმ ღონისძიებებს, ნაკლოვანებათა მოხაზვარებად რომ განუხორციელებიათ და იმ შედეგებსაც, ზომების მიღებას რომ მოჰყოლია.  
 მაგრამ სამწუხაროდ, ზოგჯერ გვხვდება ისეთი პასუხიც, რომელიც მოვალეობის მოხლის მიზნითაა გამოგზავნილი და მხოლოდ მისი შემდგენლის უპასუხისმგებლობაზე მიგვანიშნებს.

გასული წლის მარტში გლდანის მახვიის პირველი მიკრორაიონის მე-10 კორპუსის მცხოვრებნი გვწერდნენ — გათბობა, ცივი და ცხელი წყალი არა გვაქვსო. აპრილში გლდანის რაისაბჭოს აღმასკომიდან მოვიდა პასუხი — გატარებულ ღონისძიებათა შედეგად კორპუსის ცივი და ცხელი წყლით მომარაგება მოწესრიგებულიაო. პასუხის ასლი მე-10 კორპუსის მცხოვრებლებმაც მიიღეს, მიიღეს და კვლავ რედაქციაში გამოგზავნეს წარწერით: „ჩვენზე უკეთ ვინ იცის, როგორ არის ეს საქმე მოწესრიგებული?! ასეთი პასუხი წყალია, მაგრამ ეგ წყალი არც სასმელად და არც გასარეცხად არ გამოადგება!“

1980 წლის მაისში ბათუმის ფიროსმანის ქუჩის № 7 სახლის მცხოვრებლებმა რედაქციას მოსწერეს, ჩვენს სახლში სახურავიდან და კედლებიდან წვიმა ჩამოდის, სახლი შესაკეთებელიაო. ბათუმში საჩივრის შესამოწმებლად ჩასულ რედაქციის წარმომადგენელს ავტორიტეტული პირები გაჰყვნენ ქალაქის საბჭოდან, მცხოვრებთ შეპირდნენ, სახლს შეეკეთებოთ, მაგრამ რედაქციაში ხელახლა შემოსული წერილიდან ირკვევა, რომ დაპირება დაპირებად დარჩა.

ფრიალ ორიგინალურია ზნაურის რაიონის აბრეშუმარ-წველო გაერთიანების თავმჯდომარის ე. კპილინიძის პასუხი: „ფელეტონში („მერაბის პერანგი“) — „ნიანგი“ № 1 — 1982წ.) მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. კოლმეურნეობის თავმჯდომარე, მთავარი აგრონომი და მიწათმოქმედები გათავისუფლებულნი არიან დაკავებული თანამდებობიდან...“ მაშინ, როცა სისინი „გათავისუფლებული იყვნენ ფელეტონში აღწერილი ფაქტის მოხდენამდე და, ცხადია, ფელეტონის გამოქვეყნებამდეც, ხოლო ფელეტონში მოყვანილი დანაშაული სწორედ ახალმა ხელმძღვანელებმა ჩაიდინეს. ასეთ პასუხს სჯობს, სულ არ უპასუხო, თუნდაც ისე როგორც მოქცა, მაგალითად ზნაურის რაიონის აბრეშუმარს ალმახანოვი, რომელმაც არა და არ (თუ ვერა და ვერ) უპასუხა „ნიანგის“ გასული წლის მე-7 ნომერში დაბეჭდილ წერილს — „შპიტოხვების სახით ზნაურის რაიონის ხელმძღვანელებს“.


ორიგინალური პასუხით (14 IX-82 წ.) „გაგვახარა“ ამირკავკასიის რკინიგზის სამმართველომ: „ქაზრეთის სადგურში სატვირთო ოპერაციები სრულდება მხოლოდ მისასვლელ ლიანდაგზე, რომელიც ეკუთვნის მადნეულის სამთო გამამდიდრებელ კომბინატს. აქედან გამომდინარე არ იქნებოდა სწორი კაზრეთის სადგურში არსებული საწყობი გადაგვიცდმანისის რაიონისათვის“.

ცნობისათვის: კრიტიკულ წერილში სწორედ იმაზე იყო ლაპარაკი, რომ კომბინატს არ ესაჭიროებოდა აღნიშნული საწყობი (1982 წლის 4 მარტის წერილი კომბინატის დირექტორის ა. კანტურაძის ხელმოწერითა და ბეჭდით). ვის დაევუჯეროთ? ზომ არა ჰგავს ეს ამბავი მამლის ბოლოსა და ცრუ ფიცის ამბავს?

მივყვეთ რკინიგზის სამმართველოს პასუხს: „1978 წ. მარნეულის სადგურის ტერიტორიაზე იყო რკინიგზის ორი დატული გადასასვლელი... ეს გადასასვლელი გარკვეულ საშიშროებას ქმნიდნენ ავტოტრანსპორტისათვის“.

რა უნდა ექნათ — გადასასვლელის დამცველითა სამსახურებრივი დისციპლინა აემადლებინათ, თუ გაეუქმებინათ გადასასვლელი? ბოლო ვარიანტი უფრო მომგებიანად ჩათვალეს რკინიგზის მესვეურებმა და არაფერად ჩააგდეს ყოველდღიურად 20 ათასამდე ავტომანქანის, 3,5 კილომეტრის შემოვლით მოძრაობა.

ასეთი პასუხები, მოგვიტევენ და, უპასუხისმგებლობას უფრო ჰგავს!



უსიტყვოდ

## უპირო პირობა

ანუ

„მაკარონის რეცეპტით“ დამზადებული  
ხიმინჯები

თოვლსა და წვიმაში, თაკარა მზის ქვეშ „ინახადნენ“ ზუგდიდელი მეკონსერვეები თავიანთ ნაწარმს. ღმერთმა უწყის, როგორ ინარჩუნებდა ასეთ პირობებში მათი ნაწარმი იმ პირობებს, კვებითი თუ სხვა ღირსებებით რომ მოეთხოვებოდა. ამიტომაც იყო, რომ საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 5 სამშენებლო ტრესტის ცხაკაიას სამშენებლო სამმართველოს უფროსს ტ. ცაგურიას საკონსერვო ქარხნის საწყობის აშენება დაავალეს. მშენებლობის საფასური 414 ათასი მანეთიც წინასწარ გადაუხადეს და თან შეევედრნენ: 1982 წელს მაინც ელირსოს ახალ საწყობში ჩვენი ქარხნის ნაწარმს საიმედო თავშესაფარიო. ტ. ცაგურიამაც საზეიმო ვითარებაში აღუთქვა ქარხნის მესვეურებს — ისეთ საწყობს აგიმშენებთ, ავ თვალს არ ენახებოდესო.

და... ზუგდიდის საკონსერვო ქარხნის ტერიტორიაზე დაიწყო სამშენებლო მოედნის მომზადება. საწყობის ძველი ნაგებობები ისე სწრაფად დაანგრიეს და ბუღოზერებით ისე მოასუფთავეს ქარხნის ტერიტორია ხელისგულივით, რომ შემკვეთები სიხარულით მეშვიდე ცას სწვდებოდნენ: ასე სწრაფად რომ ანგრევენ, მშენებლობის ტემპი ხომ მთლად გასაგოყებელი იქნებაო... რკინა-ბეტონის 200 წვერნამახული ხიმინჯებიც რომ დაყარეს ამ მოედანზე, მინა ჟრჟოლამ აიტანა: ვაი ჩვენს დღეს, გულში მახვილებივით გაგვიყრია ნო ამ ხიმინჯებს. არც ქარხნის მეზობლად მცხოვრებლები დარჩენილან ნასიამოვნები. იცოდნენ, ამ ხიმინჯების თავზე ამტყდარ მექანიზებული უროების ბაგაბუგს მათი სიმშვიდეც რომ შეენიერებოდა... მაგრამ ნაადრევი აღმოჩნდა მინისა და ქარხნის მეზობლების წინასწარი წუხილი: მინაში ჩასასობად გამზადებული რკინა-ბეტონის ხიმინჯები უროს ერთი-ორი დარტყმის შემდეგ მაკარონივით იმსხვრეოდა. გაოგნებული იყვნენ მშენებლები, მემონტაჟეები, მინისმთხრელები, გეოდეზისტები, სეირის საყურადღებოდ სამშენებლო მოედანზე თავმოყრილი ბავშვები და უსაქმურები... მარტო მიხეილ ხასაიას, №26 მოძრა-მექანიზებული კოლონის უფროსს, ეცინებოდა უღვაშებში. მან კარგად იცოდა ნოსირის პოლიგონზე დამზადებული

ხიმინჯების სიმკვრივე მაკარონისა და ხმელი თხემლის გამძლეობას შორის რომ მერყეობდა. ისიც იცოდა, იმ ადამიანებს, ვინც ამ ხიმინჯებს ამზადებდა, არაერთხელ რომ მოსტეხიათ კისერი და გასტეხიათ თავი თავისივე ნახელავის გადამკიდეს. მაგრამ არაორგანიზებულობისა და უდისციპლინობის სენით შეპყრობილებს აბა, სად შესწევდათ იმისი გამბედაობა, საკუთარი ხელით გაფუჭებული საქმე დროზე გამოესწორებიათ და მშენებლებიც არ ჩაეგდოთ განსაცდელში. ერთი რამ არ იცოდა ხასაიამ — ლილოს რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხნიდან (დირექტორი ვაჟა ძაგანია) ჩამოტანილი ხიმინჯებიც რომ უმტყუნებდა!..

და ვიდრე „მაკარონისა და ხმელი თხემლის რეცეპტით“ დამზადებული ხიმინჯებისაგან და მისი ნამუსრვეისაგან სამშენებლო მოედანს გაასუფთაებდნენ, რაზეც 90 ათასი მანეთი დახარჯეს, — მშენებლობისათვის დათქმული ვადაც მიიწურა და ცაგურიას მიერ საზეიმო ვითარებაში მიცემული დაპირებაც ზუგდიდში მოსულ პირველივე თოვლს გაყვა...


ახლა მილიონი ქილა კონსერვი და სხვა ბადაგი ისევ ღია ცის ქვეშ ჰყრია და არავინ უწყის — რა ბედი ეწევა მათს არომატსა და ორგანოლექტიკურ თვისებებს.

სამწუხროა ისიც, პარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის ბიუროს სპეციალური დადგენილებაც ყურად რომ არ იღეს მშენებლებმა.

— რა ჩვენი ბრალია, რა ვიცოდით ნოსირის პოლიგონზე რკინა-ბეტონის ხიმინჯებს „მაკარონის რეცეპტით“ თუ ამზადებდნენო, — თავს იმართლებენ ისინი და ისევ პირობას იძლევიან — 1983 წელს უსათუოდ მივუჩინთ საიმედო ბინას ზუგდიდელ მეკონსერვეთა ნახელავსო.

თქვენ რას იტყვით, მეკონსერვეებო, დაეჯერება ამ პირობას?!

კონდრატი უბილაძე



აი, ასეთ ხიმინჯებზე აპირებდნენ საწყობის აშენებას.

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“ № 6 (1639) მარტი-გამოდის 1923 წ. იენისიდან.

მთავარი რედაქტორი  
ზაურ ზოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

გაბუა ამირეჯიბი, ნოზაძე ბართაია, ბორის გურგულია, ნოდარ დუმბაძე, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა, ნოდარ მაღალაშვილი (მხატვარი - რედაქტორი). აღმასმენი სამსახური, ბეჟან სიხარულიძე (პასუხისმგებელი მდივანი), გიგლა ფირცხალავა, ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წიგწივაძე. ვაჟა ჭანიშვილი (მთავარი რედ. მოადგილე). ნაფი ჯუხოტი.

ტექნიკური რედაქტორი  
მიხეილ კუხალაშვილი

გადაეცა ასაწყობად 28. 2. 83 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 5. 4. 83 წ. ქალაქის ზომა 60X90/16 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი, 1,25, საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,7, საქართველოს კვ. ც. -ის გამომცემლობა, ლენინის, 14. შეკვეთა № 608 უი 06990 ტირაჟი 136.000. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 380008 თბილისი-8 რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54. მთ. რედ. მოადგილის 93-19-42, პ/მგ მდივნის 93-10-78, მხატვარი-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტ. მუშაკების — 99-02-38. მდივანი - მემანქანის 99-76-69.

Сатирико-юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке) Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპიკი  
ინდექსი 76137



ისრაელს ა მზადებენ ახალი აგრესიისათვის, ახლა სირიის წინააღმდეგ. გაზეთებიდან. ეროვნული გიგლირთქვა

ნახ. გ. მორჩაძისა



შესვენება მორიგი რაუნდის წინ